



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N075-11

2010 წლის 17 სექტემბერს თელავის რაიონულ სასამართლოში გაიმართა სისხლის სამართლის პროცესი მ.მ.-ს საქმეზე. 2010 წლის 17 სექტემბერს თელავის რაიონული სასამართლოს ეზოში მ.მ.-სა და ადვოკატ ბ.გ.-ს შორის წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაცია. საჩივრის ავტორ მ.მ.-ს განმარტებით, პროცესის დასრულების შემდეგ მან გამოთქვა თავისი უკმაყოფილება შედეგით და ეს კონკრეტულად არავისკენ ყოფილა მიმართული. ამის გამო კი ადვოკატმა ბ.გ.-მ სასამართლოს ეზოში მას დაუსტვინა და შემდეგ შეაგინა. ადვოკატ ბ.გ.-ს განმარტებით, სასამართლო პროცესის მსვლელობისას საჩივრის ავტორმა არაერთხელ მიაყენა მას შეურაცხყოფა და დაემუქრა მისი შვილის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნით. კერძოდ, მისი მხრიდან გაჟღერდა ფრაზა: „ამის შვილის სისხლი უნდა დავლიო“; „შენი შვილი უნდა მოვკლა და მისი თავი სახლში შემოგიგორო“. ეს გაგრძელდა პროცესის შემდეგ სასამართლოს ეზოშიც, რაც ვედარ მოითმინა ადვოკატმა და განმცხადებელს შემდეგი შეურაცხმყოფელი სიტყვები მიაძახა: „წადი შენიც“.

2010 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მიმართა მოქალაქე მ.მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ბ.გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2010 წლის 1 ნოემბერს საპროცესო კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატ ბ.გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევით.

ჩაიდინა თუ არა ადვოკატმა დისციპლინური გადაცდომა?

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ბ.გ.-ს მიერ ჩადენილ იქნა დისციპლინური გადაცდომა, რადგან მისი ქმედება იყო არაეთიკური.

დაარღვია თუ არა ადვოკატმა სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებები? ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლების უფლებებსაც. განხილვის კოლეგიის განმარტებით, ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლისთვის გინების ფორმით შეურაცხყოფის მიყენება შეუფერებელი საქციელია, რადგან მას მოეთხოვება პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი, მით უფრო ისეთ ვითარებაში, როდესაც პროცესის მონაწილეს დაზარალებულის დედა წარმოადგენს და მოსალოდნელია მისი მხრიდან სუბიექტური და ემოციური ხასიათის პროტესტი.

ადვოკატმა დაარღვია სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებები, რადგან საჯაროდ მიაყენა შეურაცყოფა მეორე მხარის წარმომადგენელს.

ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება ამ კოდექსით, უნდა გადაწყდეს შინაგანი რწმენით ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი). ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი კონკრეტულად არ ადგენს ადვოკატის ქცევის წესებს, თუმცა მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ეთიკის კომისიას საშუალება აქვს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევა გადაწყვიტოს თავის შინაგან რწმენაზე დაყრდნობით. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილისათვის საჯაროდ შეურაცხყოფის მიყენება გინების ფორმით არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს და არღვევს ადვოკატის ეთიკის სტანდარტებს. კოლეგია თვლის, რომ ადვოკატის ამგვარი ქმედება



ეწინააღმდეგება ადვოკატის ვალდებულებას ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება გამოიჩინოს და არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

ეთიკის კომისიამ შინაგანი რწმენის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ ადვოკატის ქმედება აღნიშნულ შემთხვევაში სცდება პროფესიული ეთიკის ფარგლებს, რადგან მას უნდა შეეკავებინა თავი მოწინააღმდეგე მხარისთვის შეურაცხყოფის მიყენებისგან.

ადვოკატ ბ.გ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემა.